USAID
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲒᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ
ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲗᲐ
ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №42
მარტი, 2023

თბილისი, 2023

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ზურაბ შელია

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №42 ბიულეტენს. მასში აღწერილია მარტში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. 2023 წლის შუალედური და რიგგარეშე არჩევნები

29 აპრილს საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოების შუალედური, ასევე მერების რიგგარეშე არჩევნები გაიმართება.[1] ამომრჩევლები 29 აპრილს აირჩევენ: საქართველოს პარლამენტის ფოთი-სენაკი-ხობის მაჟორიტარ დეპუტატს, გურჯაანის, თიანეთის, ახალციხის, ტყიბულის, ქუთაისის საკრებულოების მაჟორიტარ დეპუტატებს, ასევე ცაგერისა და თერჯოლის მერებს.[2] 28 თებერვლიდან წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო,[3] რომლის პირველი ნახევარი მარტის პერიოდში მიმდინარეობდა.

კანდიდატთა რეგისტრაცია 30 მარტს დასრულდა.[4] არჩევნები, ფაქტობრივად, უკონკურენტო გარემოში ჩატარდება. ცაგერის მერობისთვის მხოლოდ ერთი კანდიდატი იბრძოლებს, რომელიც „ქართულმა ოცნებამ" წარადგინა.[5] თერჯოლაში მერობის ორი კანდიდატია დარეგისტრირებული, მათ შორის, ერთი - „ქართული ოცნების", მეორე კი საინიციატივო ჯგუფის მიერაა წარდგენილი.[6] საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარულ ოლქში ორი კანდიდატი მონაწილეობს:[7] ერთი - „ქართული ოცნებიდან", ხოლო მეორე - პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოდან".[8] საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის გურჯაანის, თიანეთის, ახალციხისა და ქუთაისის შესაბამის მაჟორიტარულ ოლქებში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობს, რომელიც „ქართულ ოცნებას" წარმოადგენს.[9] ტყიბულის შესაბამის მაჟორიტარულ ოლქში საკრებულოს წევრობისთვის ორი კანდიდატი იბრძოლებს. ერთი „ქართული ოცნების", მეორე კი საინიციატივო ჯგუფის წარდგენილია.[10]

---

[1] 29 აპრილს შუალედური/რიგგარეშე არჩევნები გაიმართება, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) ვებგვერდი, 2023 წლის 20 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41Qrj3M, განახლებულია: 13.04.2023.
[2] იქვე.
[3] „დღეიდან 29 აპრილის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო", ცესკოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/415TH15, განახლებულია: 18.04.2023.
[4] არჩევნები 2023, ცესკოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/archevnebi/2023, განახლებულია: 18.04.2023.
[5] მუნიციპალიტეტების მერების 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებისთვის წარდგენილი მერობის კანდიდატები, ცესკოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mokqXX, განახლებულია: 13.04.2023.
[6] იქვე.
[7] საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 29 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატები, ცესკოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41n2Z8H, განახლებულია: 13.04.2023.
[8] იქვე.
[9] საკრებულოს 2023 წლის 29 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატები, ცესკოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KVF2Qs, განახლებულია: 13.04.2023.
[10] იქვე.

2. ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები

ევროპარლამენტში გამართული დებატები

თბილისში „უცხოეთის აგენტებზე“ კანონპროექტების საწინააღმდეგო აქციების შემდეგ ევროპარლამენტში 14 მარტს გამართულ დებატებზე ევროპელმა დეპუტატებმა მკაცრად გააკრიტიკეს საქართველოს მთავრობა. მათ ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფებების მიმართ მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოხატეს.[11]

სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი მიესალმა ქართველების მიერ ნების გამოხატვას, რომლებმაც ისარგებლეს მშვიდობიანი დემონსტრაციის უფლებით.[12] მისი თქმით, საქართველოს მომავალი ევროკავშირშია, თუმცა ამისთვის საჭიროა ფუნდამენტური რეფორმების გატარება.[13]

საქართველოზე ევროპარლამენტის მუდმივმა მომხსენებელმა სვენ მიკსერმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მცდელობა, მიეღო აგენტების შესახებ კანონი, მხოლოდ ერთი მაგალითია იმ პრობლემების გრძელი ჩამონათვალისა, რომლებიც ქვეყანაში კანონის უზენაესობის მიმართულებით არსებობს.[14] მისი განცხადებით, ხელისუფლებაში მყოფნი მხოლოდ სიტყვიერად ემხრობიან ქართველი ხალხის ევროპულ მისწრაფებებს.[15]

ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის (მწვანეთა პარტია) განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, საბოტაჟი მოუწყოს ქვეყანას ევროპულ გზაზე.[16]

ევროპარლამენტარ რაინჰადტ ბუდიკოფერის (მწვანეთა პარტია) თქმით, საქართველოს მოქალაქეებმა იციან, რომ ე.წ. „ქართული ოცნება“ ქართულ კოშმარად გადაიქცა.[17]

თბილისში ევროკავშირის წარმომადგენლობის ორგანიზებით ამბასადორიალი გაიმართა

14-15 მარტს თბილისმა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ ორგანიზებულ რეგიონულ ამბასადორიალს უმასპინძლა,[18] რომელშიც ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურისა და ევროკომისიის მაღალი რანგის პირები, მათ შორის, აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ასევე, თურქეთსა და ავსტრიაში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ.[19] ღონისძიების ერთ-ერთი მონაწილის, აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროკომისიის დირექტორატის თანაშემწის მოადგილის კატარინა მატერნოვას განცხადებით, მიმდინარე წლის ბოლოს მომზადდება ევროპული პერსპექტივის მქონე ყველა ქვეყნის ძალიან საფუძვლიანი შეფასება.[20] მან იმედი გამოთქვა, რომ შემოდგომამდე მიიღწევა საკმარისი პროგრესი კანდიდატის სტატუსის მისაღებად.[21]

---

[11] „ევროპარლამენტში დებატების დროს საქართველოს მთავრობა გააკრიტიკეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/531854, განახლებულია: 13.04.2023.

[12] იქვე.

[13] იქვე.

[14] იქვე.

[15] იქვე.

[16] იქვე.

[17] იქვე.

[18] „თბილისმა ევროკავშირის რეგიონულ ამბასადორიალს უმასპინძლა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/531728, განახლებულია: 19.04.2023.

[19] იქვე.

[20] იქვე.

[21] იქვე.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი

24 მარტს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბერბოკი საქართველოს ესტუმრა.[22] პირველი ოფიციალური ვიზიტი მან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრით დაიწყო. ამის შემდგომ ის შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილს, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, შემდეგ კი ცხინვალის საოკუპაციო ხაზს ესტუმრა.[23] ანალენა ბერბოკმა შეხვედრები გამართა აგრეთვე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან, ოპოზიციონერ პოლიტიკოსებთან, სტუდენტებთან.[24] მან პრესკონფერენციაზე ხაზგასმით ისაუბრა ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესრულების მნიშვნელობაზე,[25] განსაკუთრებით ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა: კანონის უზენაესობა, სიტყვის თავისუფლება, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და დეპოლარიზაცია.[26] ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირის გზა ნიშნავს ნაბიჯების გადადგმას.[27] გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, გერმანიის მთავრობას საქართველოს ევროკავშირში ხილვა სურს.[28] მისი თქმით, საქართველოს მთავრობა ვერ გახდება ევროკავშირის წევრი სამოქალაქო საზოგადოების გარეშე და ქართული სამოქალაქო საზოგადოება ვერ გახდება ევროკავშირის წევრი საქართველოს მთავრობის გარეშე.[29] ანალენა ბერბოკმა აღნიშნა, რომ ამ მიზნის მისაღწევად ყველამ ერთად უნდა იმუშაოს.[30]

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება

23 მარტს საქართველოში მომუშავე 15-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის საჯარო წერილით მიმართა.[31] ორგანიზაციები მიესალმებიან ევროკომისიის გადაწყვეტილებას, გაზაფხულზე მოამზადოს შუალედური შეფასება საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მისაღებად 12 პრიორიტეტის შესრულებასთან დაკავშირებით და სთხოვენ, რომ შეფასება იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებისთვის.

2.1. ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულება

ევროპულმა კომისიამ სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) 13 მარტს დეოლიგარქიზაციის კანონპროექტთან დაკავშირებით შუალედური დასკვნა გამოაქვეყნა.[32] კანონპროექტი მმართველმა გუნდმა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად არსებული 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთის საპასუხოდ შეიმუშავა.[33] კომისიის განცხადებით, კანონპროექტით გათვალისწინებული ზომების ანალიზი ცხადყოფს, რომ მან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ევროპული კონვენციით დაცული ფუნდამენტური უფლებების დარღვევა, ვინაიდან ის მთავრობას ამ პროცესში ზედმეტ გავლენას ანიჭებს.[34] ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ კანონპ-

[22] „გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს სტუმრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 24 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/533327, განახლებულია: 19.04.2023.
[23] იქვე.
[24] იქვე.
[25] იქვე.
[26] იქვე.
[27] იქვე.
[28] იქვე.
[29] იქვე.
[30] იქვე.
[31] „არასამთავრობოები ოლივერ ვარჰეის მიმართავენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 23 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/533081, განახლებულია: 18.04.2023.
[32] „ვენეციის კომისია დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტზე შუალედურ დასკვნას აქვეყნებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 14 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/531563, განახლებულია: 13.04.2023.
[33] იქვე.
[34] იქვე.

როექტი, რომელიც, პირადი მიდგომისა და გაურკვეველი კრიტერიუმების საფუძველზე, ახდენს პირების სტიგმატიზებას, მაღალი რისკის მატარებელია და, დასახული მიზნის მიღწევის ნაცვლად, შეიძლება ადამიანის უფლებების დარღვევა გამოიწვიოს.[35] პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, ვენეციის კომისია წინააღმდეგი არ არის, საქართველომ დეოლიგარქიზაციის შესახებ წარდგენილი კანონი მიიღოს, თუმცა აქვს რეკომენდაციები, რომლებსაც განიხილავენ და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ.[36]

ვენეციის კომისიამ მიმდინარე სასამართლო სისტემის რეფორმის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები შეაფასა და განაცხადა, რომ ისინი „შეზღუდული მასშტაბისაა" და „არ ითვალისწინებს სასამართლო სისტემის ძირეულ რეფორმას".[37] კომისიისგან შეფასება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა 2022 წლის ნოემბერში მოითხოვა. ეს ცვლილებები ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად განსაზღვრული საკანონმდებლო ცვლილებების ნაწილია.[38]

2.2. „უცხოური გავლენის" შესახებ კანონპროექტი

23 თებერვალს საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალმა ჯგუფმა „ხალხის ძალამ" კანონპროექტი დააინიციირა,[39] რომელსაც საერთაშორისო დონეზე შეშფოთება მოჰყვა.[40] მის საწინააღმდეგოდ პარლამენტთან მასშტაბური აქციები მოეწყო.[41]

„ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს, „ხალხის ძალისა" და საპარლამენტო უმრავლესობის სახელით გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში აღინიშნა, რომ, შიდა კონსულტაციების შედეგად, მიიღეს გადაწყვეტილება, „უცხოური გავლენის აგენტების" შესახებ კანონპროექტი პარლამენტიდან გაიწვიონ.[42] საზოგადოებრივი პროტესტის ფონზე მმართველმა უმრავლესობამ დაპირებისამებრ მეორე მოსმენით ჩააგდო მისივე ინიციირებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" რუსული ტიპის კანონპროექტი. მის წინააღმდეგ ხმა 35-მა დეპუტატმა მისცა. მომხრე მხოლოდ 1 იყო.[43]

ულტრამემარჯვენე და ულტრაკონსერვატიული პარტია „კონსერვატიული მოძრაობის" მიერ ორგანიზებულ აქციაზე პარლამენტის შენობასთან ევროკავშირის დროშის მოხსნას და დაწვას ოპოზიციონერთა მხრიდან ხელისუფლების მიმართ მწვავე კრიტიკა მოჰყვა.[44] საკანონმდებლო ორგანო-

---

[35] იქვე.

[36] „შალვა პაპუაშვილი - ვენეციის კომისიისგან არ არის წინააღმდეგობა, საქართველომ დეოლიგარქიზაციის შესახებ წარდგენილი კანონი მიიღოს, თუმცა აქვს რეკომენდაციები, რასაც განვიხილავთ და შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ", საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2023 წლის 14 მარტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/415TH15, განახლებულია: 13.04.2023.

[37] „ვენეციის კომისია: შემოთავაზებული კანონპროექტი „არ ითვალისწინებს სასამართლო სისტემის ძირეულ რეფორმას"", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 14 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/531652, განახლებულია: 13.04.2023.

[38] იქვე.

[39] „ქართული ოცნება" მხარს დაუჭერს უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 21 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/526414, განახლებულია: 16.03.2023.

[40] „ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები „უცხოელი აგენტების" შესახებ კანონპროექტს აკრიტიკებენ", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 27 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/527714, განახლებულია: 16.03.2023.

[41] „რა მოხდა 8-9 მარტის აქციის ღამეს – ქრონოლოგია" საინფორმაციო პორტალი „Netgazeti.ge", 2023 წლის 9 მარტი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/659398/, განახლებულია: 13.04.2023.

[42] „მმართველი უმრავლესობა ამბობს, რომ „აგენტებზე" კანონპროექტს გაიწვევს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 9 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/530288, განახლებულია: 13.04.2023.

[43] „მმართველმა უმრავლესობამ მეორე მოსმენით ჩააგდო „უცხოეთის აგენტებზე" კანონპროექტი", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 10 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/530636, განახლებულია: 13.04.2023.

[44] „კონსერვატიული მოძრაობის" წარმომადგენლებმა პარლამენტის წინ ევროკავშირის დროშა დაწვეს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 14 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/531468, განახლებულია: 13.04.2023.

სთან სიტყვით გამოსვლისას „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერებმა ანტიდასავლური განცხადებები გააკეთეს და ხელისუფლებას შემდეგი მოთხოვნები წაუყენეს:[45] 2021 წლის 5-6 ივლისს ჟურნალისტებზე ჰომოფობიური ძალადობისას დაკავებულთა გათავისუფლება;[46] 7-9 მარტს „უცხოეთის აგენტებზე“ კანონპროექტების საწინააღმდეგო აქციებისას „სახელმწიფო გადატრიალების“ ორგანიზატორთა „სამაგალითოდ დასჯა“ და „უცხოეთის აგენტებისა“ და „უცხოეთის მონების“ შესახებ კანონზე რეფერენდუმის ჩატარება.[47]

3. მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა

14 მარტს სტრასბურგში ღონისძიება გაიმართა, რომელიც შეეხებოდა სამ ადამიანს: ვლადიმერ ყარა-მურზას, ალექსეი გორინოვსა და საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.[48] ღონისძიებას გაუძღვნენ ევროპარლამენტარი პეტრას აუშტრევიჩიუსი (ევროპული განახლება) და თანაწამყვანი უილიამ ბრაუდერი, იურისტი და უფლებადამცველი, მაგნიტსკის აქტის ავტორი. ღონისძიების მიზანი იყო, კიდევ ერთხელ შეეფასებინათ ამ „პოლიტპატიმრების“ მხარდასაჭერად გადადგმული ნაბიჯები და დაესახათ ეფექტიანი გზები მათ გასათავისუფლებლად.[49]

სააკაშვილის დედამ გიული ალასანიამ, შვილმა ედუარდ სააკაშვილმა და ადვოკატმა გიორგი ჩალაძემ ექსპრეზიდენტის წარსულსა და ამჟამინდელ მდგომარეობაზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ მას 47 სხვადასხვა დიაგნოზი დაუსვეს.[50] მათ თხოვნით მიმართეს ევროკავშირსა და საერთაშორისო საზოგადოებას, სააკაშვილს გათავისუფლებაში დახმარებოდნენ.[51]

იმავე მიმართვით გამოვიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ენმ) გენერალური მდივანი პეტრე ცისკარიშვილი.[52] მან ევროკავშირის დედაქალაქების შესაბამის აღმასრულებელ შტოებს მოუწოდა, გააძლიერონ ზეწოლა საქართველოს მთავრობაზე.[53]

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა მამუკა მდინარაძემ მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ გაკეთებული განცხადებები ლობისტური ხასიათის კამპანიას დაუკავშირა და საქართველოსთვის დამაზიანებელი უწოდა.[54] „ქართული ოცნების“ წარმომადგენელ გივი მიქანაძის განცხადებით მიხეილ სააკაშვილის მისამართით პოზიტიური გზავნილების ავტორები ის ევროპარლამენტარები არიან, რომლებსაც გარკვეული ვალდებულებები გააჩნიათ, არ არიან ნეიტრალურები და მოვლენებს სუბიექტურად აფასებენ.[55]

სალომე ზურაბიშვილმა 24 მარტს „ტელეკომპანია პირველთან“ ვრცელ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პროცესები შეაფასა.[56] პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ ჯანდაცვის საკითხებში მისი მრჩე-

---

[45] იქვე.
[46] იქვე.
[47] იქვე.
[48] „სააკაშვილის საქმე ევროპარლამენტში პოლიტპატიმრებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განიხილეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/531545, განახლებულია: 13.04.2023.
[49] იქვე.
[50] იქვე.
[51] იქვე.
[52] იქვე.
[53] იქვე.
[54] „ევროპარლამენტში საქართველოზე დებატებს ქართველი პოლიტიკოსები ეხმიანებიან“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/531902, განახლებულია: 13.04.2023.
[55] იქვე.
[56] „პრეზიდენტი ზურაბიშვილი „ტვ პირველთან“ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 25 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/533632, განახლებულია: 13.04.2023.

ვლები ყოველდღიურ რეჟიმში იღებენ ცნობებს ამის თაობაზე.[57] ზურაბიშვილის განცხადებით, ექსპრეზიდენტის მდგომარეობა ქვეყნის რეპუტაციის საკითხია.[58] ის არ ეთანხმება სააკაშვილის მიმართ დამამცირებელ მოქმედებებს და ფიქრობს, რომ გამოსავალი არსებობს, რომელიც შეიძლება გამოიძებნოს.[59]

14 მარტს ევროპარლამენტში დებატები გაიმართა, სადაც ასევე ისაუბრეს ექსპრეზიდენტ სააკაშვილის პატიმრობის საკითხზეც.[60] სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისრის ოლივერ ვარჰეის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების სამართლებრივი პასუხისმგებლობაა, სრულად უზრუნველყოს მიხეილ სააკაშვილის, როგორც დაკავებულის, ასევე ბრალდებულის უფლებები საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.[61] ევროპარლამენტარ პეტრას აუშტრევიჩიუსის (ევროპული განახლება) თქმით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობა და სიცოცხლე ევროკავშირის მოთხოვნების განუყოფელი ნაწილია.[62] ევროპარლამენტარ ანა ფოტიგას (ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები) განცხადებით, საქართველოს მე-3 პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დატოვება ციხეში, „პუტინის მძევლად", საქართველოს მომავლის გაუარესებას ნიშნავს.[63]

სააკაშვილის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანისა და ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების მოთხოვნით, 9 აპრილს თბილისში აქცია დაიგეგმა.[64] მანამდე კი საპროტესტო გამოსვლები რეგიონებში დაიწყო.[65] 25 მარტს ზუგდიდში ენმ-ის მიერ ორგანიზებული აქცია გაიმართა.[66]

4. ცვლილებები პოლიტიკურ პარტიებში

ენმ-ის თავმჯდომარის არჩევნებში ლევან ხაბეიშვილის გამარჯვების შემდეგ რამდენიმე ლიდერმა პარტიული თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.[67] მეორე დღესვე ხატია დეკანოიძემ განაცხადა, რომ პარლამენტში ენმ-ის ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობას ტოვებდა.[68] 24 მარტს კი მან პარტიის დატოვების შესახებაც გაავრცელა განცხადება.[69] ის საპარლამენტო საქმიანობას დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით განაგრძობს.[70]

24 მარტს „ქართული ოცნების" წევრებმა: ირაკლი კოვზანაძემ, გიორგი ამილახვარმა, ნინო იობაშვილმა, გიორგი ხელაშვილმა და ვლადიმერ ჩაჩიბაიამ დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე

[57] იქვე.
[58] იქვე.
[59] იქვე.
[60] „ევროპარლამენტში დებატების დროს საქართველოს მთავრობა გააკრიტიკეს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge".
[61] იქვე.
[62] იქვე.
[63] იქვე.
[64] „ლევან ხაბეიშვილმა 9 აპრილს აქცია დააანონსა", საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა", 2023 წლის 14 მარტი, ხელმისაწვდომია: https://publika.ge/levan-khabeishvilma/, განახლებულია: 18.04.2023.
[65] „ზუგდიდში „ნაციონალური მოძრაობის" მიერ ორგანიზებული აქცია გაიმართა", საინფორმაციო პორტალი "Rustavi2", 2023 წლის 25 მარტი, ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/251967, განახლებულია: 18.04.2023.
[66] იქვე.
[67] „ახალი თავმჯდომარის არჩევის პარალელურად, ენმ-ის ლიდერები პარტიულ თანამდებობებს ტოვებენ", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 4 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/523948, განახლებულია: 13.04.2023.
[68] იქვე.
[69] „ხატია დეკანოიძემ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დატოვა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 24 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/533269, განახლებულია: 10.03.2023.
[70] იქვე.

შეწყვეტის თაობაზე პარლამენტს განცხადებით მიმართეს.[71] არსებული ინფორმაციით, ვლადიმერ ჩაჩიბაია და ნინო იობაშვილი პრემიერ-მინისტრის მრჩევლები იქნებიან.[72] გიორგი ხელაშვილი პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველი იქნება.[73] გიორგი ამილახვარი კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად დაინიშნა.[74]

[71] საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting, განახლებულია: 13.04.2023.

[72] „პარლამენტმა ხუთ დეპუტატს უფლებამოსილება შეუწყვიტა“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge”, 2023 წლის 24 მარტი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/khut-deputats-uflebamosileba-sheuwyda/, განახლებულია: 13.04.2023.

[73] იქვე.

[74] იქვე.